ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №442

10 დეკემბერი 2014 წელი ქალაქი ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10' მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი“) ქალაქის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ნოდარ მიქიაშვილის სახით. (მისამართი: 4600, ქქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24-10-24; უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი-წერილი №01-8493 05.12.14წ).

მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ვი-ენ 2011“, მისი დირექტორის გია კოპალეიშვილის სახით (მისამართი: ქ. ქუთაისი, ღუსელიძის ქუჩის I ჩიხი №15, ტელ: 579 20 20 20) (შემდგომში „ მიმწოდებელი“)

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ქალაქ ქუთაისში ახალგაზრდობის გამზირზე №44 სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის.

1.3 კლასიფიკატორის კოდი – 45200000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: შეადგენს: 40331,43 (ორმოცი ათას სამას ოცდათერთმეტი ლარი და 43 თეტრი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

3.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ დაწუნებული სამუშაოების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.

3.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.

3.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

3.6 ინსპექტირების ჯგუფი ამოწმებს სამუშაოს შესრულების მოცულობას, ხარისხს და ვადებს.

4. სამუშაოს შესრულების ვადა

4.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია სამუშაოების შესრულება განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, 2015 წლის 8 იანვრის ჩათვლით.

4.2 ხელშეკრულების დამდეგ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.

5.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ჩაატაროს ექსპერტიზა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ შესრულებული სამუშაობის ხარისხზე, მოცულობასა და ფასებზე - სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს.

5.3 სამუშაოს დასრულების ვადათ ითვლება „შემსყიდველი“ ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამუშაოს დასრულების დადასტურების დღე.

5.4 ფაქტიური შესრულების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, „მიმწოდებლის" წერილობითი მომართვის საფუძველზე;
6.2 „მიმწოდებლის" წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:
ა) ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა,
ბ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება,
გ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტი,
დ) ექსპერტიზის დასკვნა - სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს,
ე) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი დ.ღ.გ–ს ანგარიშფაქტურა.
6.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).
6.4 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში.
6.5 „მიმწოდებლი"–ს მოთხოვნით, მხარეთა შორის 20%–ის ფარგლებში წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიღწეული შეთანხმების შემთხვევაში, „მიმწოდებლი"–ს მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი მხოლოდ სბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია, საავანსო გადახდის თანხაზე, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების დასრულების ვადას.
6.6 სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, „შემსყიდველი"–ს მიერ ყოველ შესრულებულ სამუშაოზე დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის ნახევრის 2.5%-ის დაბრუნება მოხდება სამუშაოების სრული დასრულებისა და „შემსყიდველი"-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი ობიექტის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი (აღნიშნული თანხის დაკავების ფორმას განსაზღვრავს „შემსყიდველი") სამუშაოების საგარანტიო ვადის (ორი წელი) გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი"-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის ან სპეციალური კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, „მიმწოდებელს" აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

7. გარანტია

7.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადათ განისაზღვრება **2 (ორი)** წელი, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით.

8.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შტეყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შტეყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მოღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი–შეთანხმების სახით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

11. მხარეთა უფლება–მოვალეობები

11.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:
–სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია.
11.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:
– უზრუნველყოს ,,მიმწოდებელი"–ს მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
11.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
–მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
11.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:
–დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში „მიმწოდებელი" გადაიხდის 13400 (ცამეტიათას ოთხასი) ლარს.
12.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.
12.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;
12.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
12.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.
12.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადაში განხორციელებისას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, „მიმწოდებელი" თავისუფლდება ხელშეკრულების 12.2 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციებიდან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყოვნებლივ;
13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14. დაუძლეველი ძალა

14.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შეუძლებლობის შესახებ.
14.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინაადმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
14.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. გადასახადები და დაზღვევა

16.1 ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 8 თებერვლის ჩათვლით.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი ,,მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი ,,შემსყიდველთან".

18. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. #3
ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: UGEBGE22
ა/ა №33033303
ს/კოდი: 212721170
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე

ნოდარ მიქიაშვილი

შ.პ.ს „გი-ან 2011"
მის: ქ. ქუთაისი, ლესელიძის ქუჩის I ჩიხი №15
ს.ს „საქართველოს ბანკი"
ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა GE44BG0000000893166900
ს/კოდი: 412676322
შ.პ.ს „გი-ან 2011"
დირექტორი

გია კოპალეიშვილი

ქალაქ ქუთაისში მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია
ხარჯთაღრიცხვა

	სამუშაოს დასახელება	განზ	რაოდ	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ.ფასი	სულ	ერთ.ფასი	სულ	ერთ.ფასი	სულ	
	ახალგაზერობის გამზ. №44 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადების რეაბილიტაციის									
	თავი I: დარდვევითი სამუშაოები									
1	რკინის ანაწყობი ჩარჩოების მოწყობა მონტაჟი(დაშლით) სახლის პერიმეტრზე	კგ.მ	650	0,30	195,00	7,50	4875,00	0,13	84,50	5154,50
2	ეაიწმინდის მოაჯირის დეტალები ადრე ნალესი ფენებისაგან	ფ	72,00	0,25	18,00	2,50	180,00	0,00	0,00	198,00
3	ეაიწმინდის ფასადზე არსებული ზოგიერთი ხის ფანჯრების და კარების ალაბები არსებული სალებავის ფენებისაგან	ფ	50,00	0,20	10,00	4,50	225,00	0,00	0,00	235,00
4	კედლებიდან ნაწილობრივ ჩამოფხრეს დაზიანებული ნალესები	ფ	360,00	0,24	86,40	2,50	900,00	0,00	0,00	986,40
5	სამშენებლო ნარჩენების გიტანა ავტოტრანსპორტით 15 კმ-ზე	ტ	16,2	0,00	0,00	10,00	162,00	15,70	254,34	416,34
	ჯამი თავი I:									**6990,24**
	თავი II: სამშენებლო სამუშაოები									
1	ფასადის ნაწილი შეილესოს ხილა-ცემენტის ხსნარით	ფ	527,00	3,65	1923,55	8,00	4216,00	1,05	553,35	6692,90
2	მოავარ და გვერდით ფასადებზე ხილა-ცემენტის ნაშეფფის მოწყობა	ფ	700,00	1,80	1260,00	2,50	1750,00	0,25	175,00	3185,00
3	მოავარი და გვერდითი ფასადები დაიგრუნტოს ფასადის საგრუნტავი მასალით (სითხით)	ფ	700,00	1,09	763,00	2,00	1400,00	0,04	28,00	2191,00
4	მოაჯირის ლითონის დეტალები დაიგრუნტოს ანტიკოროზიული საგრუნტავი მასალით (სითხით)	კგ.მ	75,00	1,11	83,25	2,25	168,75	0,00	0,00	252,00
5	მოაჯირის ლითონის დეტალები შეღებოს ზეთოვანი საღებავით	კგ.მ	75,00	3,60	270,00	5,00	375,00	0,34	25,50	670,50

6	ფასადზე არსებული ზოგიერთი ხის ფანჯრების და კარების ალათები შეღებვის ზეთოვანი საღებავით	მ²	60,00	1,69	101,40	5,00	300,00	0,43	25,80	427,20
7	შეღებვის ფასადის ფასადის კედლები ფასადის საღებავით (წყალმედეგი)	მ²	700,00	3,39	2373,00	5,00	3500,00	0,12	84,00	5957,00
8	დამზადდეს და სახურავის პარაპეტი შეიფუთოს მოთუთიებული თუნუქით	კვ.მ	54,00	15,30	826,20	12,50	675,00	1,21	65,34	1566,54
	ჯამი თავი II:									20942,14
	ჯამი I+II									27932,38
	ზედნადები ხარჯები 8%									2234,59
	ჯამი									30166,97
	გეგმიური დაგროვება 10%									3016,70
	ჯამი									33183,67
	გაუთვალისწინებელი ხარჯები 3%									995,51
	ჯამი									34179,18
	დ ღ გ 18 %									6152,25
	ჯამი									40331,43

შ.პ.ს. "გი-ან2011"
დირექტორი: გ.კოპალეიშვილი